ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №6
2024 წლის 23 თებერვალი

ქ. ბორჯომი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით მარშრუტებისა და სამგზავრო მარშუტებზე ტარიფების დამტკიცების, მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზებისა და ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი (უფასო) მგზავრობის შესახებ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 აპრილის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით მარშრუტებისა და სამგზავრო მარშუტებზე ტარიფების დამტკიცების, მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზებისა და ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი (უფასო) მგზავრობის შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 აპრილის №18 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 010250020.35.139.016510 27/04/2023) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტები და სამგზავრო მარშუტებზე ტარიფები დამტკიცდეს დადგენილებაზე თანდართული დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი**

<u>**დანართი**</u>

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტები და სამგზავრო მარშუტებზე ტარიფები

№	მოძრაობის მარშრუტები	უკუმიმართულება	ტარიფები	შენიშვნა
1	ცენტრი - არდაგანი	არდაგანი - ცენტრი	0,20	
2	ცენტრი - ყვიბისი	ყვიბისი - ცენტრი	0,20	
3	ცენტრი - ლიკანი	ლიკანი - ცენტრი	0,20	
4	ცენტრი - რველი -კორტანეთი- ახალდაბა	ახალდაბა - კორტანეთი - რველი - ცენტრი	0,40	
5	ბორჯომი - ტაძრისი	ტაძრისი - ბორჯომი	0,70	

6	ბორჯომი - ჭობისხევი	ჭობისხევი - ბორჯომი	0,80	
7	ბორჯომი - დვირი	დვირი - ბორჯომი	0,70	
8	ბორჯომი - ქვაბისხევი	ქვაბისხევი - ბორჯომი	0,80	
9	ბორჯომი - სადგერი-ტბა- ცემი	ცემი - ტბა - სადგერი - ბორჯომი	0,40	
10	ბორჯომი - დაბა-წაღვერი-ტიმოთი	ტიმოთი - წაღვერი - დაბა - ბორჯომი	0,40	
11	მზეთამზე-ბორჯომი	ბორჯომი-მზეთამზე	0,40	
12	ბაზარი - ახალი უბანი	ახალი უბანი - ბაზარი	0,20	
13	ვაშლოვანი - ახალი უბანი	ახალი უბანი -ვაშლოვანი	0,20	
14	ბორჯომი - ბაკურიანი	ბაკურიანი-ბორჯომი	1,50	
15	ბორჯომი - ციხისჯვარი	ციხისჯვარი -ბორჯომი	2,00	